

თ მ ა ტ რ ი

1889 წ.

№ 17 დ 18.

ცეკვითმდის 22.

გაზითი ლიტ: ერთის წლით — 5 გ. ნახე-
ვარის წლ.— 3 გ. ცალკე ნომერი— 15 კ.
ბის ეკან გაგზავნას და მათ შესახებ
მოწერას.

ხელის-მოწერა და წერილების გამო-
გზავნა შეიძლება ამ იდრესით: თიფლის,
ვს კლიკერის მაგაზინზე გრიგორი ჭავჭავაძის
ნი, რომელი პანხავა.

რედაქცია არ კისრულობს, წერილების გამოსახულობების და მათ შესახებ
მოწერა-მოწერას.
რაზეთშე დასახელდად გამოგზავნილ
წერილებს უნდა ჰქონდეს თ მოწერილი
სახელი, გვარი და ადრესი ავტორისა.

თბილისი, სექტემბრის 21-ს.

ერთი ხანა შემჩნეული ერის ცხოვრებაში, როგო-
ბის გახრეწილება და გონიერის სიჩლურებები ხელი-ხელ ჩაკიდებული
მიისწრაფიან სიკვდილის მორევისკენ და თან აღვნებული მიჰ-
ყავთ ჩასალუბავად ბილო-მოლებული, სახელ-გატეხილი და გან-
ცხრომით დაბეჭავებული ოდესმე დიდებული ერი. ასეთი იყვ-
ნენ რომაელები იმპერიის უკანასკნელ ფამის. ესვე ითქმის თუ
ზედ გამოჭრით არა, დაახლოებებით მაინც იმ ხალხებზედაც, რო-
მელთათვეს ბედს არ უჩიგურებია განიაღმებული თავისუფლება
მოქალაქობრივის ცხოვრებაში და თავიანთ დიდი ხნის ცხოვრე-
ბის უკანასკნელ ფამისაც მათი ბედის ჩარხი უცხო ქვეყანაში
ტრიალებს. ჩვენც გვეთქმის ესა.

ჩვენი ქვეყანა ბუნებით მრავალ ფერად მდიდარი, სადაც
მკვიდრობს მხნე და შრომის მოყვარე ქართველობა, მის შეილ-
თავან მონიკებულ მეტად სამრალო დროების მომსწრეა, მაგრამ
გამკითხავი არაენია ჰყავს, თითქო ვით ურია, წყალს მიჰქონდეს
და მტრები მისძახოდნ, გზაც მანდეთ არიო. ეს გვემართება იმ
დიდებულ ქვეყანაში, რომელსაც შენატროდენ და შენატროან
დღესაც მრავალნი ხალხნი; რომლისა გამო ბერუჯერ ცილობაც
ამტყდრა და ხან-და-ხან გამარჯვებულს ხელიც მიუტან ზედ;



რომელსაც შეხინებია ბევრი დაწიოკებული, სამშობლოდმ გადმოხვეწილი და მასპინძელთა უხეის კალთის ქვეშ სული მოუბრუნებიათ, მაგრამ მაღლობის მაგიერ მასპინძლის სამკვიდრებელს შესცილებიან, თითქო ნაოხარი ყოფილიყოს.

დიახ, ამ ნაირია დღეს ეს ჩვენი საარაკო ქვეყანა, მაგრამ სხვეისი, ცხრა-მთას-იქიუელის აღმაორებინებელი ლამის ჩვენი დამაჭვნობელი გახდეს. დაჭვნობა ბუნებრივი, ხორციელი რა სათქმელია. პირიქით შეიძლება უკეთესად აგვევოს სხეული, აგვერიოს სისხლი, ერთის სიტყვით ჯან-ღონე მოგვემატოს და ჩვენმა გონებამაც უფრო გაჭრას, მაგრამ საღარდელიც აღარაფერი მექმებოდა, რომ ამისთანა წარმატებას, აყავილონებას შევნატროდე. დაჭვნობა სხვანაირიც გახლავს, ჩემო ბატონებო. სულის გარსი ცვალებადია, გარეგანის, უფრო ძლიერის ზედმოქმედების ქვემდებარე. ეს გარეგანი გავლენა, ანუ ზედმოქმედება ცდილობს თვისის შინაარსით ჰკვებოს სული, ეს უხილავი არსება, მაგრამ მოცილედ თუ გაუწნდა მას სხვა გვარი ზედ-მოქმედება უცხო ნიადაგის შეილი, რომელიც თავის შინაარსთან ერთად თავის სამოსელსაც აძლევს ამ უხილავ არსებას, მაშინ ხამს სიფრთხილე, რომ თავისი გარსი არ გასძერეს და სხეისით არ შეიმოსოს. გარსის ცვლა ზოგიერთმა ხემ ანუ გველმა რომ იცის, კა დაგვმართოთ, მისთანა რამ რო იყენს, ეს ხომ თან-და-თან წარმატებას და ზრდას მოასწავებდა. მაგრამ გარსის ცვლას ამ შემთხვევაში გულის გადასხვაგვარებაც მოსდევს. სულიერად გადაშენებაც ეს არი? ხარ და არა ხარ; აღარ გესმის წინაპართ სასმენელი, ველარა გრძნობ მათ საგრძნობელს! შეიძლება წინაპართ სამკვიდრებელზედაც იდგე და გულს აღარ გიძერებდეს დიდებულ გავლილ ტროთა მოსაგრძნებელი.

ბევრ ხალხს შეხვედრია ამ გვარი სიკეთილი. ჩვენი ერი მა-
მათი მოწმეა, ბევრს კიდევ შეხვედრა, ვინც თავის თავს არ
გაუფრთხილდება. ჩვენ-კი მის მავირ რომ გადაგვარებულ ხალხ-
თა მავალითი ხიდად გამოვიყენოთ, ჰლამის მათსავით ბოლო
მოგველოს. საუკუნოების ცისკრად ავეგბულვართ ერთ სულიერ

და ხორციელ სხეულად; ბევრ ხალხზედ უფრო აღრე დაგვიწყია გონიერი ცხოვრება და დღეს ჰლამის გავქარწულდეთ სულად, დღეს, როცა ჭია-ლუაც კი გამოულეიძებია ამ საუკუნის დიდებულსა და ბრწყინვალე მჩესა.

რა ფიქრი არ გაგივლის თავში, როდესაც დახედავ ჩვენის განათლების საქმეს, მის ნაყოფს. ჩვენის ერის შემთვისებლობის ნიჭმა სწავლა-განათლებაშიაც იჩინა თავი. ბევრმა გაათავა უმაღლესი სასწავლებელი; თითქმის ორმოცდა-ათი წელიწალი იქნება, რაც ჩვენმა ქვეყანამ იხილა თავისი შვილი მეცნიერებით აღჭურვილი ცხოვრების გზის გასაკვლევად. ამ ნეტარებას პირველ ხანებში ელირსნენ მხოლოდ მაღალის წოდებისანი, დიდი გვარი-შეილები, რადგანაც ჯიბეც ნებას აძლევდათ და საჩინო ადგილის დაჭრის იმედიც გულს უმხნევებდათ. მათ მოჰყვა სასულიერო წოდება, უკანასკნელ დროს გლეხობაც და ჩვენი სოვება-გრობაცა, ეს ამ საუკუნისაგან ნაძლვნევი ახალი ხილი, ფერად კარგი, თუ მხოლოდ კბილის მოჰყვეთი არ გამოდგა.

ახალმა სწავლა-განათლებამ დაპარა ახალი განათლებულნი, ააღორძინა შეგნებული საზოგადოება, მაგრამ მიმღებლობას საზღვარი აღარ ჰქონდა, ისე გაიტაცა კულა, საზოგადოებაც და შეგნებულნიც უცხოეთით გადმონაქოლმა ახალმა სიომ, რომ გაერთიანერებას ფრთა შეესხმებოდა, უკუმოქმედებაც რომ არ მოჰყოლოდა.

უკუმოქმედთა ბევრი ტანჯვა და კიცხვა ირგუნეს მათის ღვაწლით ჯილდოდ, მაგრამ ის მაინც გაიტანეს, რომ ზოგიერთს თავის გულში ჩახედვინეს, ჩვენკენ პირი აქნევინეს და ბევრი რამ საზრუნველიც გაუჩინეს. ეს საზრუნველი დიდი ხნის მოღეული იქნებოდა, რომ თეთომ ჩვენის ცხოვრების საზოგადოებრივი პირობანი ხელს არ უშლიდენ.

ჩვენის ქვეყნის ფეოდალობის წეს-წყობილება ყველასაგან ცნობილია; ამ წეს-წყობილებას ქველადგანვე ისე დაუცალ-ცალკევებია და, ან უკეთ ვთქვათ, ისე ნაწილ-ნაწილად დაუყვია ჩვენი ერი, რომ შეგნებულთა ნაწილსაც კი აზის მემედ ამის

ბეჭედი. ვერ ვიტყვით, რომ ჩვენს ერს შეგნებულნი ნაკლებად ჰყავდეს; პირიქით მათი რიცხვი საკმაოა, მაგრამ საუბრელუროდ ისინი თავ-მოუწილნი არ არიან, მცირდოდ ვერ არიან ერთმანეროთთან დაკავშირებულნი, რადგანაც ზემოსხენებულ მიზეზთა გამო ისინი დიდ მანძილზედ დაშორებიან ერთმანეროს. დიდგვაროვან შეგნებულს დიდგვაროვანი შეუგნებული ურჩევნია მეგობრად და გულის მოპასუხედ. ან კი რად არ მოიქცევა ასე, როცა მისგან დიდი არაფრით არ განიჩევა. ეკროპული სწავლა თუ აქვს მიღებული, ისიც გარევად, განსპეციალიზებით არა რა იცის, ყველაფერს კი ხელს აელებს და ამის გამო მის გონებას ნისლი აყრია. შინაგნად ხომ დარჩენილა იგივ აზიელი, გვარიშვილობის მაკერპებელი, გულზვავი და ზესთამჩენი; ამასთანავე სპარსული ოინბაზობა იმდენად მორჩევია ბუნებაში, რომ სიტყვით ფართიფურთობს, საქმით ბეჭეობს, გულ-ღვარძლიანობს და ლიბელართან ლიბერალობს, ხოლო თეისთა შორის თუ იმყოფება, მაშინ იგი სრულიად სხვა: მათებრ მგონებელი, მათებრ მყრინობელი, მოკლედ რომა ვთქვათ, წმინდა ფეოდალი. ამ გვარად შეგნებულთა ზენობის ძალ-ლონე, მათი ზედ-მოქმედება საზოგადოებაზე განპარალიზებულია. ცხადია ყოველივე ეს ჩვენის უწმიფარობის ნიშანია. მოქალაქობრივობას რომ ჩვენს ცხოვრებაში საცუდეელი ჰქონდეს, ჩვენი განათლებული ფეოდალები არც ამისთანა უკურმატის თვალით დაუწყებდენ ყურებას ჩვენს საზოგადოებასა და მის ძალ-ლონეს.

მოქალაქობრივობა! ნეტავი თუ საღმე მოიპოვება დღეს მისთანა ხალხი განათლებულ ქვეყნებში, რომ ამით არ სულ-დგმულებდეს, თუ არა აქვს, მის შექენას არ ცდილობდეს? ჩვენ ვართ ერთი ბეჭავი ერი, ჩვენ, მისი უპოვარი. მოქალაქობრივობის გრძნობა ჩვენს საზოგადოებაში არ სად არ ჭაპანებს, მით უმეტეს იმ შეგნებულთა უორის, რომელიც აბიბობენ ჩვენმა წინაპირებში რომი ისხნესო. აღზრდაც ამას ქვია! ესენი ჩემულობენ ჩვენის ცხოვრების თავისნობას! ? იქნება ამ ვაჟბატონებს მოქალაქობრიობა ალაბ-სასწორის გამოდგომა ეგონოთ, და

მიტომაც სათაკილოდ მიაჩნდეთ მისი ხელ ყოფა. არა. ნუ იფიქ-
 რებენ. უკიდურეს შემთხვევაში ამასაც რო ნიშნავდეს, ნუ იუკა-
 დრისებენ, რაღანაც ალამბა ბევრი ააშენა და რაღა ჩვენ ვიქნე-
 ბით მისგან დასალუპავი. მოქალაქობრივობის შემოღება, მისი
 აღორძინება, აი რა უნდა მიეჩნიოთ დღევანდელის ჩვენის ცხოვ-
 რების საგნაც; მის გარე სწავლად შეუძლებელია. კარგისა
 და ნამდევილის მოქალაქობრივობის წყალობით კუჭიც უზრუნ-
 ველი გვექმნება და მარტო ფშვინვიერის ცხოვრების გამოკიდებით
 შეიქმნება კუჭის საზრუნველსაც თავი ვერ გავართვათ და ნამ-
 დვილი მოქალაქობრივობა ხომ რაღა სათქმელია, ისევ ისეთივე
 სანატრელი გავიხდეს, როგორც დღეს არის ჩვენში.

ძალმომრეობით გაჩენილ მათ წოდებას, რომელიც ბატო-
 ნისა და თავისათვის ალაფობაში დროს ატარებდა, ხან შინ
 იშოებიდა, ქსნის და არაგის ერისთვების არ იყოს, დასაწილე-
 ბელ გლეხობას და ხან გარეთ თავს ესხმოდა მტერს და არა
 მტერს, მხოლოდ იმიტომ, რომ მეტი ალაფი შემოჰილნა თავის
 ქვეყნაში და მიემატებინა მისთვის, რაც ყმებს შემოჰილდათ სა-
 ვალდებულო, მეტი ჰქონდა დროულა და მაცალეობაც, რომ სამ-
 დვდელოებასთან ერთად ისიც გონიერით უფრო მაღლა მდგარიყო,
 ვიღრე მდაბიო ხალხი. მღვდლების არ იყოს, დიდი გვარი შვილე-
 ბიც მისდევდენ მწერლობას და კიდეც მოიტანეს იგი უკანასკნელ
 დრომდე, ხოლო ეხლა-კი შეუმჩნეველად გარდადიან დაფანტულნი
 ნამდვილ ერის ამომავალ მნათობთა სხივით, ვით ვარსკვლავები
 მზის ამოსველის დროს.

დარბაისელთა მწერლობა ჩვენში განვებ თუ უნებურად
 მფარველობდა იმ წოდებას, რობელსაც მისი დარბაისელნი მო-
 თავენი კუთვნოდენ. მას შემდეგ, რაც ჩვენმა თავად აზნაურო-
 ბამ საყმო ფული ბანკებში მოათავსა და ამით ვითომ მომჟირ-
 ნეობის უნარი და მომავლისათვის მზრუნველობა გამოიჩინა,
 რაც დარბაისელი პოეტ-მწერლები დაბანკირა, ქართული მწერ-
 ლობა, მანამდე უფრო მრავალ ფერი და მოურიდებელი კეშმა-
 რიტების დაცვაში, უკრად შეიცვალა, დაღუნდა, გამონოტონ-

და და სრულიად მოწყდა ცხოვრებას და თითქო ხელიც აიღო. კუდ ყოფაში ჩატარდნილს იმ გარემოებით, რომ მისი მოთავე და ბან კისა, ხშირად წერა-კითხვის და დრამატიულ საზოგადოებისაც ერთსა და იმავე პირს წარმოადგენდენ, მეტი გზა არ იყო უნდა ეხმარა რამე ლონის ძიება, რომ უვნებელი გამოსულიყო გაჭირებებისაგან. კიდეც მოახერხა.

არქეოლოგია, ლურსმური მწერლობა, ისტორია, ბიბლიო-
გრაფია, კლასიკური ლიტერატურა, ეთნოგრაფია, გრამატიკა,
აგრძნობია და ბევრი რამ მისთანა, რაც დღიურის ცხოვრების
წრეში არ შედის, ვერ აღეწებს თვალყურს ყოველ დღიურ
მოვლინებას, საზოგადოების აზრს, მის ცუდს თუ კარგს მოს-
წრაფებას, მის მოღვაწეთა ავ-კარგინობას, ზარითა და ზეიმით
მოწვევული იქმნენ და დღესაც არ გათავებულა უხევი მასპინძლობა,
რომელიც ხშირად სჩედრიათ ჩევნს მოთავე კაცებს. რაღანაც
მასპინძლის საკუთარი სარგებლობა მოითხოვდა, შეუფერებელი
ადგილიც-კი აკადემიური ამისთანა დარბაისელ სტუმრებს, კურნალის
მაგიერ, საპოლიტიკო და სალიტერატურო გაზეთში უცვენებს ბი-
ნა და თანაც მოახსენეს სახრავი თქვენი იყოსო. მაგრამ ტე-
ლენ ციონიზმის აქაც ვერ ასცილდენ, საგნის შიშვნელობის გა-
ზიადება აბსურდამდე მიიყვანეს. ქრისტის სიტყვით ქადაგად დაუც-
ნენ, ეგონათ თუ, რასაც სწერდენ ან ღალადებდენ, ზეგარდამო
ნიჭის მეოხებით შერებოდენ. ენაც აღამაღლეს, ცოდვილ დედა-
მიწაზე გაელაც აღარ იკადრეს, ჩევნ კაცთათვის მოცემული
ქვეყანა მათ ჯოჯონხეთად გადაექცათ, ჩევნი ენა-გულის მგმირვა
ისრაალ, ჩევნი გრძნობა-შხამ-სამსალად.

ძველის გამოკვლევით არა ვის არა რა ეწყინება, ნათესავიც და მოყვარეც თუ გულ-გრილად არა, ჩისხეით მაინც არ დაუწყებენ ყურებას. ან კი როგორ მოიქმნენ სხვანაირად. მოხელეთა ან მოღვაწეთა ავ-კარგიანობას ვერ შეეხებიან, რადგან მათში ბევრი დაზიანებულია, მაშასადამე კენჭოსანი, რომლისაგანაც სამაგიტოს მოჟღონა. ავისათვის კეთილი ჯერ კოდევ არავის არ გადაუხდია და სულელიც იქნებიან დღევანდელი ჩეცნი

მწერალ-ბანკირები, რომ სდევნონ ჩვენის საზოგადოების ნაყლუ-ლოვანება ისე, როგორც მიღებულია პუბლიცისტიკაში. თუ გა-მოუდნენ ცხრამთასიქითელს, რომელსაც კარიდამ შექაქანე-ბენ და პირ-და-პირ შებმას კი ერიდებიან, ან თუ ჩაიგდეს ხელში საწყალი ბეჭავი, რომელიც თვალით შემოხედვასაც-კი ვერ გაუ-ბედავს მათ, არა თუ სამაგიეროს გადახდას, მაშინ მათ იციან, როგორ მოიქცნენ: ცოდეილ დედა-მიწაზედაც-კი დაიწყებენ სია-რულს, ჩვენის ენითაც-კი ალაპარაკდებიან და ასე გაშინჯეთ ბა-ზაზხანაშიაც-კი ამოიცლიან ხოლმე, რომ როგორმე უფრო გასვა-რონ და გათელონ მნიშვნელობისა და ღონის ძიების უპოვარი, უ-ლური აჩისება. მაშინ თავი გმირი ჰეონიათ და დალაჩარებუ-ლი, ყურ-მოჭრილი ყმებიც ვიშ-ვიშ შესძახიან.

პარიული უგახანელი.

ახალი აშბები

ამ თვის 19 ქაშვეთის წმ. გომრევის ეკლესიაში ქართველმა არტისტებმა ქართულის სამუდამო სცენის ათის წლის თავის-იუბილეს გამო გადაიხადეს პანაშვიდი განსვენებულ გომრევი ერისთავისა შის თანა-შოლვაწის ზურაბ ანტონოვისა და შიშნია-შეილის სახელის პატივ-საცემლად. ხალხი-კი ცოტა მოგროვდა.

გუშინ წინ, ამ თვის 19-ს დაპირებისამებრ ქართველ-არტის-ტების ამხანაგობაშ გამართა საიუბილეო წარმოდგენა. ხალხი საკმაოდ იყო, წარმოდგენა მეტ-ნაწილად კარგი და გამართო-ბელი. დასასრულ, რადგან შუა ღამე გადასულიყო, აპოთეოზის მავიერ, ლეკური გაიმართა. ფოიე ჩინებულად მოერთოთ სხვა-და-სხვა ისტორიული სურათებითა, რომელთა შორის თამარ მე-ფე და შოთა რუსთველი დიდებულად ბრწყინავდენ, გარემო-ცულ ბალ-წალკოტითა,



ბ. მურიკს *Caucase illustré*-ს პირველ ნომერში დაბეჭდილია სოლომონ, იმერთა მეფის, პეტრე დადიანის და აკაკის თქმული რამდენიმე ნაკვესი. ამათ გარდა კიდევ არის ქრთი არა-კი საბა ორბელიანისა. მეტად საინტერესოა აგრეთვე სხვა-და-სხვა ქართველ მეფე-მთავარების სურათები, რომელთა წყალობით მკითხველს ნათლად წარმოაუდგება თვალ-წინ ტანთ-ჩამულობა მაშინდელ სამეფო გვარებისა.

ბ. ვ. გაბიჩევაძემ ჩამოიტანა ცარცი (მწლე), რომლის მა-
დანი უპოვნია რაჭაში. რო შევადარეთ რაჭული ცარცი რუ-
სულს და სურამულ ცარცს, ისეთი დიდი განსხვავება აღმო-
ჩნდა, რომ, თუ კარგი მოთავე გამოუჩნდა, რაჭის ცარცს დიდი
გასავალი ექნება. რუსეთის და სურამის ცარცი მოშავოა და
ძეირი და რაჭისა.კი ისეთი თეთრია და წმინდა, რო კაცს ფო-
ნება ყირიმის ფქვილი არისო; მასთანვე გაცილებით უფრო იეფად
ელირება ფუთი რაჭული ცარცი, ფილე რუსეთის ან სურამისა.

მსხვერპლის შემთხვევაში აუსარება

(ବ୍ୟାକ୍ସନ୍ତିରି)

„ქარგი რჩება კარგადა,
ენის საშვენ ქარგადაო,
წიგნებისა საბარაქოდ,
სამსხვილებელ ბარგადაო.

კარგი ავის ფარიალ
ავ-ზრასებათ საფარიალ,
ცბიერების მომკაზმავი,
ხალხის სატეუარიალ —

კარგი ტყბილ სათქმელიაო,
მჯევრ-მეთქვის საშეელიაო,
მოსამიზეზებელიო,
წასახმარებე კიაო.

კარგი უურის მტრელიაო,
გულის მომეიდგელიაო,
კრძნობის სიამით მბირები,
სულის წამპარველიაო —

კარგი კარგ-ჩამზერიაო,
მორით დასაჭერიაო,
ოქროს ბრწეანვალე ვარაუით
დროშაზე აწერიაო —

კარგი შორ ვარსკვლავიაო
წძინდად სანახავიაო,
მარადის მოუწიდომელი,
გულის მოსაკლავიაო.

კარგი ბრიუეთ საფრთხობიაო,
ვერაგო მოსათხოვობიაო,
მაცდელთა შესამატები
მძებნელთ დასამსობიაო.

კარგი გქონდეს სიტუადაო,
როცა შეგხვდეს რამ სადაუო
და შიგ ბოროტოა ვულის თქმათ
მითი გაიძლე მაღაო!“

ეს მასწავლა ამ უოფაშა,
როს მიყბინა და მომშესაძა
ავი მომცა გზად და სჯულად,
კარგი მართლად არ მარაშა.

მეტ მოვეიდე ამ სჯულს ხელი,
გაძლიდრებას ამით ვეღი
და კარგისა სამოძღვრებლად
მაქვს ბრწეინვალე სამოსელი.

6. დ.

დიმ. ჩხიცევიშვილი და იმერეთის თავადაზნაურობა.

გაზეთებმა ყურად ულებელი დასტოეს ერთი მოველინება ჩეენის ცხოვრებიდამ: იმერეთის თავად აზნაურობამ დადგინა პსთხოებს მართებლაბას რათა გადასახლოს დ. ჩ—ლი, როგორც მანედა ბოროტი კაცი მრთელის მხარისათვის. მას აბრალებდენ, რამ იყი ფულს ასესხები ნამეტან დიდის სარგებლითავა. რაღანაც ფულია სესხი უფრო ხშირათ თავად აზნაურობას ეჭირება, ამიტომაც უკანასკნელების არა ერთი და ორი დაგირავებული მამული გადასულ, ჩ—ლის ხელში კრებაზე მაგალითებიც მოყავდათ, თუ ამ ჩარჩმა როგორ გამოუხრა სარძიკველი რამდენსამე შეძლებულ აზნაურს, თუ როგორ. 50—60 ს. რავებელს ის ჩეეულებრივ მოველენად ხდის და ხშირად თავნს თავნზედ ანგარიშობს, თუ ნახა, რომ ფულის მსურველი გაჭირებაშია და ამიტომ იძულებულიცა, ყოიელგვარ პირობაზე დაყაბულდეს. ალელვებულმა საზოგადოებამ, რომელშიაც აგერ-ეკერ კაცი დაინახავდა ზემოხსენებული ჩხიცევ შეილის მოვალეებსაც, თითქმის უკლებლივ მოაწერა ხელი უმე-

ტესი ნაწილის განაჩენს და ეხლა მხოლოდ მართებლობაზეა დამოკიდებული, მოიყვანოს სისრულეში საზოგადოების ამ-გვარი სურვილი. ჩეენ მაინც პირადათ ეგ მოელენება იმიტო. მ კი არ გვეინტერესება, რომ მხარეს მოაკლდება უდიდესი ჩარჩი, რომელიც უწყალოდ, შეუბრალებლად და ხშირად უკ ნონოდაც ტყავს აძრობდა ხალხს. ჩეენი აზრი მიქცეულია უფრო ამ შემთხვევის თეორიულ მხარეზე, მის პრანციპზე, მის ზოგად აქსა და კარგზე. თი სწორედ ამ მხრივ ჩეენც გვსურს გავშინჯოთ თავად-აზნაურობის უკანასკნელი კრების განაჩენი ჩეიკეიშეილის გადასახლების შესახებ.

ორი რამ ბრალდება დ. ჩეიკეიშეილს: შეუბრალებელი და უკანონო მოქმედება ფულის აღებ - მაცემობაში. უკანასკნე-ლის ჩეენ აზაფერი გვეთქმის, მიტომ რომ, ვინც უკანონოდ იქცევა, მათების სასამართლოა გაჩენილი და რა აღმინისტრა-ცი.. იქ თუმცა დაბრკოლებით, მაგრამ მაინც შეიძლება უკა-ნონობის გამოაშვარავება. გვეტყვიან, ჩეიკეიშეილი და მისთანანი ფულებიანი არიანო, იმათი საქმე მუდამ კანონირათ, ჩაით-ელება, რადგან ერთია მხრით დეოკატები, მეორეს მხრით ქრთამი ქოთანს სასურეელ კუთხეში გაუკეთებენ ყურსაო. მაგრამ, დამნაშავემ როგორ დამტიცოს თავისი სიმართლე, აუ თქვენ-განვე მიღებულ დეოკატების და მოსამართლეების მოქმედე-დებას „ინჩათაც“ არ აღდებთ. უკანონობა ისეთი მტკნარი და გასაწევი მცნებაა, რომ, ამ გვარ მიზეზით კაცის დასჯა მხო-ლოდ საფუძლიანი დამტკიცების შემდეგ არის შესაძლო; იმ უკანონობას-კი, რომელსაც ჩეიკეიშეილს აბრალებენ, თითქვის ყოველთვის აქვს ძირი კანონიერობის და ეს არის მიზეზი, რომ ჩეიკეიშეილს ისე როგორც ბევრი სხვა არა თუ მარტო ჩარჩები, არამედ სხვა სფეროშიაც მოქმედი პირნიც ჯერ სისხლის სამართალში შეუძლოა მისცე.

უფრო დიდი მნიშვნელობა აქვს მეორე ბრალს, რომ ჩეიკეიშეილი ფულის გასესხებაში უწყალო დ შეუბრალებელია. ჩეენ გვეგონია, ეს ბრალი ერთად ერთი ტა და დიახ დიდიც.

სამწუხარო ის არის, რომ ეკ დანაშაული კანონისაგან მოსაზრებული როდია; შეუძლებელიცა, იყოს: შებრალება, მოწყვალება იმდენად სუბიქტიური, პირადი ცნებაა, რომ მისი კანონით დაქერა არც ერთ კანონ - მდებელს არ უფიქრინია. ამა როგორ მოისურვებოთ დასაჯოთ ის პირი, რომელმაც თქვენს ნაცნობს ოთახი არა ქირავა მაგ. თუმნად, როცა ის თქვენი ნაცნობი გაჭირებაში იყო და თუმნის მეტის მიცემა არ შეეძლო და როცა, თუ გნებავთ, ოთახიც არ ღირდა მეტად; ან უკეთ ესთქვათ, როგორ სასჯელს დაუნიშნავთ იმ პირს, რომელიც მათხოვარს არ აძლევს სამოწყალის, თუმცა ეიცით, რომ მათხოვარა მათხოვარაა, ე. ი. გაჭირებული. ჩეენ ამგვარად მიტომ ჩამოვაგდეთ სიტყვა, რომ დიმ. ჩხიყვიშეილის საქციელს ჩეენი საზოგადოება საერთო მდგომარეობით, ფინანსიური კრიზისით კი არ ხსნის, არამედ თეთი ჩხიყვიშეილის ქინიანობით, მისი ხასიათით; თორემ პირ-და-პირ კრეზიტზე დავიწყებდით ლაპარაკს, რომელიც ამ შემთხვევას უფრო შეესაბამება და აღვიარებდით, რომ მთელს საპოლიტიკო ეკონომიკიში შიუკარებელი კუთხე თუ მოინახება მხოლოდ კრედიტის საქმეში. მისი აწევ-დაწევა, მისი გადიდება ანუ შემცირება შეიძლება მხოლოდ გარეშე მოქმედებით: მჩერწველობის აყვავებით, სწავლა-განათლების გაერცელებით, პირადობის დაცით, სიმდიდრის რაოდენობით და სხვა ათასნაირი პირობით, რომელნიც ერთმანერთთან დაკავშირებულნი არიან. ისე კი კრედიტს ერც ეერვინ დააკლებს და ვერც მოუმატებს. საჩვენებლის, მაგალითად, განსაზღვრა ეხლა ყოველგან მიტოვებულია, რაღაც დარწმუნდენ, რომ ამ შემთხვევაში კანონი ისეთი აბუქა სტუმარია, როგორიც ძნელათ თუ მოინახება. ამ განსაზღვრას ყოველთვის მოეპოვება ისეთი ასახვეები ბილიკები, რომელზედაც სიარულს იძულებულს ჰყოფენ დ. ჩხიყვიშეილისთანა პირები ყველა ფულის მსურველთ; აი როგორც ეხლა ჩეენში და რუსეთში: სირკებელი 6 მხოლოდ კანონშია, ცხოვრებაში-კი უკანასკნელის ასაცილებლათ თავნის აღიდებენ ერთი ორად და იმაზედ ანგა-

რიშობენ სახელმწიფო ექვს სარგებელს. აქ სრულებითაც არ არის პრინციp laissez faire, laissez passer, რომლითაც ზოგნი უკიდინებენ ზემო მოყვანილს აზრებს, ის თეორია გამოსადევია ანუ უჯარებისა ხალხის ცხოვრების ისეთ მხარეებში, სადაც მთავრობის ხელ შეძლენელობა შესაძლებელია, პირდაპირი, სადაც მას შეუძლია ფაქტიკურად, ნამდვილად შეერიოს საქმეში ანუ გულგრილად უცქიროს განიდამ. აქ კი სულის თეოსების საქმეში, ანუ უკეთ ესთქვათ ამ ეკონომიკურ მდგომარეობის შედეგში laisser faire, laissez passez ეყრ გამოდგება, რასაკვირეელია მიტომ რომ უამპრინტიპოთაც ეგ სფერო თავისუფალია თეოთვე, ბუნებითვე.

ესთქვათ ჩხიკეიშვილი გადასახლეს, ივი იძულებულ ჰყენს თუ სამუდამოთ არა, რამდენისამე წლით მაინც შეაჩეროს თავის აღებ-მიცემობა. რა გამოვა აქედამ? სხვებიც შეშინდებიან და აღარ აიღებენ ამოდენა სარგებელსაო. მართალია, შეშინდე ბიან მხოლოდ პირებელ ორ-სამ თევს. მეჩე-კი, მერე საჭიროება და საზოგადო კრედიტი თავისას იზამს და ჩხიკეიშვილს არა ერთი და ორი მოადგილე გამოუჩნდება, ისინი კი უფრო გამჭრიახობით და ხრიკით მოაგვარებენ საქმეს, ვიდრე ამდენს ხანს ჩხიკეიშვილი ახერხებდა. სასაცილოა, უნდა გავტყედთ, დარწმუნებით ლაპარაკი იმაზედ, რომ ჩხიკეიშვილის გადასახლება უფრო ნაკლებ სარგებელს ააღებინებს სხვა ჩარჩებს, ე. ი. კრედიტს გააეფებსო. ასე რომ ყოფილიყო, ამ გადასახლებას რომ შეძლებოდა კრედიტის გაიეფება, არა თუ კრიზისი თავის დღეში, არამედ უბრალო გაჭირებაც არ დადგებოდა არც ერთ სახელმწიფოში, რადგან რამდენსამე ჩარჩის გადასახლებდენ და საფინანსო ავათმყოფობას ვითომ წამალ-საც უპოვნიდენ. მაგრამ ამ აზრს ეკონომიკაში აუბსურდს „უწოდებენ, თუმცა ამ „აბსურდს“ სხვა და-სხვა სახელით ძალიან ბევრიც ეცილება.

თეოთ ჩხიკეიშვილს და მის ამხანაგებს თავის გასამართლებელი, თქმა არ უნდა, არ აქვსთ. ისინი დამწაშავენი არიან, რო-

გორუ მრთელ სიზოგადუებასთან ერთად, ისე იმ პირებთანაც, რომელთაც ჰქონიათ შემთხვევა მათთან საქმე დაეჭირათ, მაგრამ საქმეც ის არი, რომ გარეშე თვალით ჩხიკვიშვილი, როგორც სხვა სიჩაჯი, გინდ ჩარჩო უბრალო ბუზია თაფლის ანლოს. ერთი-ორი ბუზის მოგერებით ანუ გაქარწყლებითაც საქმეს ვერარას ეუშველით, ბუზები ახლები განადებიან და ხელახლად განჩინება დაგვეჭირდება იმათ გადასახლებაზედაც, სწორედ ისე, როგორც იმერეთის და საზოგადოდ საქართველოს თავად აზნაურობას ემართება: ასახლებენ, ან თხოულობენ თითქმის ყოველ წელს ესა-და-ეს კაცი მოგვაცილეთა და ბოლო-კი არ ეღება ამ გადასახლებას; ერთი ძელის მაგიერ თანისამი ახალი დგება.

ესეც არ იყოს, თუ იმ აზრით ეიხელმძღვანელეთ, რომ დიდი სარგებლის მომხვეჭი მავნებელია და მოცილება გვმართებს, მაშინ არა თუ ჩარჩებს, ბეჭრს ადამიანს არ დაედგომება ჩევრში, აი თუ გინდ აეილოთ უბრალო მაგალითი: საზაფხულო ბალები: ეინ არ იყოს, რომ მათზედ დახარჯულის ჯამის შესადარად შემოსავალი რაომდენმე ასჯერ აღმატება და თუ ჩხიკვიშვილის სარგებელში გადასახლების მიზეზს ეხედავთ საჭიროა აქაც სასტიკათ მივიქცეთ და ამათაც გვუძახოთ საქართველოდამ. ბანკებს ხომ თავის გასამართლებელი ერთი სიტყვაც არ მოეპოვებათ. თუ ყუჩადლებას არ ეათხოვებთ მოძრავ მამულების მიმღებ (ბანკებს), სადაც უყიდიან ნივთებს პატრონებს თითქმის ყოველთვის მას შემდეგ, რაც მათზე თავნის ოდენა ფული უკვი გადახდილია სარგებლით, თვით საადგილ-მამულო ბანკებს და მათ შორის ჩევრ ბანკებსაც რამდენჯერ მომხდარა გაეყიდოთ ის მამული, რომელზედაც გამოტანილი თანხა თითქმის შეტანილი ყოფილიყას უკანვე. ეინც ჩხიკვიშვილის გადასახლებას აფუძნებს ზემოხსენ ებულ თეორიაზე, უნდა დავვიმტკიცოს, რომ აქ, ბანკებში ამ თეორიას გასავალი არ აქვს. მანამ-კი ჩევრ იძულებული ეართ ბანკე-

ბის თავისუფალ მოქმედებასთან ჩეიკეიშვილისთანა პირების მოქმედებაც ვითმინოთ.

ამ გვარად იცელება ზემოხსენებული განაჩენის ფერი, როცა მას ჩეინ უფრო სასტიკათ მოვეცყრობით, ეიზრე იმერეთის თავად - აზნაურობას უნებებია. კიდევ უნდა აღნიშნოთ ამ განაჩენის ერთი ფრიად სამწუხარო მხარე; ეტყობა თავად-აზნაურობა ჯერ უკან მიმსხვდარა, რომ ჩეიკი—ლი ჩეინს ცხოვრებაში კერძო, ანუ ასე ვსოდეთ, უკაბედი მოვლინებაკი არაა, არამედ ნაყოფია საზოგადო ცხოვრებისა. ამისი დანახვა და ძალიან ადვილადაც იმერეთის თავად-აზნაურობას შეეძლო, რადგან მან აგერ ოთხა-ხუთი წელიწადია მას აქეთ, რაც ისეთი აყალ-მაყალი ასტეხა შეორე ჩარჩის შებუკის შესახებ. სამწუხაროდ ამ მაგალითმა უკან იქონია შესაფერი ზედ გავლენა იმერეთის საზოგადოებაზე, მას უკან უშველა ვერაფერი უკან გორის თავად-აზნაურობის ამბავმა ორი წლის წინად კიდევ ვიღაც ჩარჩის გადასახლებაზე. იმის მაგიერ რომ ამ ხშირ მოვლანებისთვის ძირი მოვნახათ, რომ წყალი სათა. ეეშიე არ ხდებოდეს და მღვრიე არ მოდიოდეს, ისინი აგერ-ეგერ აცლიან მდინარეს ხინწლს. კიდევ კარგი, რომ წმენდის დრას თეითონვე არ ისცრებოდენ და ლაში არ ეცხებოდესთ: საზოგადოება ასეთ უბრალო საქმისათვის, როგორც ერთი პირის განძევებაა, აღმინისტრაციას ეხვევწება მომაშორეა და თეითონ-კი როდი პოულობს იმდენ ძალას, რომ რაიმე მოაგვაროს. რომელ ცოტათი მაინც განვითარებულ ქვეყანაში შეხედებით ამ გვარ მოვლინებას? უკან ერთში, რადგან, თუ დარწმუნებული არიან უკელანი რომელსამე წერის უპატიონსნებაში, ისინი თეითონვე ახერხებენ წამალი მოუწახონ. ჩეინში-კი ეგ ვერ მოხერხდა, მიტომ კიდევ ვიმეორებთ, რომ სურთ კრედიტიც იყოს და თან იეფიც, ამას საზოგადო ცხოვრება არ იძლევა და ჩეინი საზოგადოება ამ საფუძვლის უკან მხედველი გულს აკლავს ჩეიკი—ლს და მის ამხანაგებს.

ცუდია და დიდი იმედის მომცემი ვერ არის, როცა ხე-
დავ, რომ საზოგადოება ასეთ საშინაო საქმეებშიაც-კი აღ-
მინისტრის კარგიას ემუდარება შეელის, ენერგიას კარგავს და თუ
ბურებას კიდევ შეუჩერებია ცოტაოდენი მაინც ძალა, ისიც
ელევა. თან იგი ხდება სასტიკი, უმართებულო, წვრილმანო-
ბის მიმყოლი, ზოგადი აზრის ვერ გამგები. დაწვრილმანების
ნიშანია აბა რის მაქნისია ერთსა და იმავე დროს ნამდეილი
აეპაკების დაბრუნებას ვთხოულობდეთ და ფულის გამსეს-
ხებლის გარდასახლებასაც. ასეთი შეგინება კერძო პირის თა-
ვისუფლების მხოლოდ მიტომ რომ იმას არ სურს თავისი
ფული ექვსი, ათი სარგებლით ასესხოს, შესაძლებელია მხოლოდ
ჩეენში, სადაც პირადი თავისუფლების წარმოდგენაც არ აქვთ.
შეცხრაჟერე საუკუნეში თითქმის საუკეთესო ქართველნი წარ-
მომდგენელნი საზოგადოებისა თავისუფლებას ართმევენ ერთს
თავისს წევრს სრულიად უკანონო მიზეზით, უფრო-კი მიტომ,
რომ ქეიფსა და სმაში დახარჯულ ნასესხებ ფულის დაბრუნება
საჭიროდ არ მიაჩნიაო.

ჩეიკვიშეილის გადასახლება ადამინისტრაციისაგან საზოგა-
დოების თხოვნით ყოვლად უგვანო და უმიზნო სახსარია; იგი არ
მართლდება ასც კანონის, ასც მეცნიერების და ასც პირადო-
ბის სიმრთლის მიერ. იგი გვიჩვენებს მხოლოდ, რამდენად დაცე-
მული აზრი აქვს ზოგად ეთარებასა უოველ თავის წევრსა
და იმის თავისუფლებაზე ჩეენ საზოგადოებას, და გვიმტკიცებს,
რამდენად წერილმანია ჩეენი ცხოვრება და ც არაც, თუ იძუ-
ლებულნი ვართ შეუძლებელიც-კი მოვსთხოვოთ ადმინი-
სტრაციის.

ი. ლ.

~~~~~

რედაქტორ-გამომცემელი ალექსანდრე ნებირიძე.